საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 18687/1
02/12/2020

18687-1-2-202012021513

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ აზიის განვითარების ბანკის დაფინანსების ფარგლებში გეგმავს ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემების და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას, რომელთან დაკავშირებითაც, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 11 მარტის N2-227 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე განხორციელდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმის ფარგლებში შენობა-ნაგებობების განლაგების დაზუსტება. ამასთანავე, დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები (წყალარინების ქსელი, მაგისტრალური კოლექტორი), ასევე, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის წარმადობა რჩება უცვლელი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ, „მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმის ფარგლებში შენობა-ნაგებობების განლაგების დაზუსტების“ სკრინინგის განაცხადს, ასევე, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ელექტრონულ ფაილებს. გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ცვლილება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

დანართი: 1. სკრინინგის განაცხადი.
2. ელექტრონული ფაილები.

საკონტაქტო პირი: ლიზა ჭოველიძე
ელ. ფოსტა: l.chovelidze@water.gov.ge
საკონტაქტო ნომერი: 599 91 30 30

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge

76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში